



# ლენუსი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაში №7 (62) 24 მარტი 2011 წელი

## თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოკლუბი

მსოფლიოში ყველა წამყვან კინოსკოლაში არსებობს კინოკლუბი, რომელიც სტუდენტების საგანმანათლებელი პროცესისა და მათი სტუდენტური ცხოვრების აქტიურ ბირთვს წარმოადგენს. ჩვენი უნივერსიტეტის II ადმინისტრაციულ კორპუსში გაიხსნა კინოკლუბი, სადაც სტუდენტების სურვილითა და მოთხოვნით დაიწყო ფილმების ჩვენება. კინოკლუბის არსებობა და სრულყოფილად ფუნქციონირება ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესით გათვალისწინებული ცოდნის მისაღებად. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტური თვითმმართველობა თანაშრომლობს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. აღნიშნული ჩვენებები დაეთმობა მსოფლიო და ქართული კინოხელოვნების ნიმუშებს. კინოკლუბის ბაზაზე აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით, იგეგმება სტუმრების მოწვევა და ღია დისკუსია სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს და განავითარებს სტუდენტების მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენასა და შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ კინო კლუბი ფუნქციონირებას აწარმოებს, არა მხოლოდ ჩვენი სტუდენტებისათვის, არამედ ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და კინომოყვარულთათვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ერთმანეთთან დაკავშირებას და ამაღლებს ჩვენი უნივერსიტეტის პრესტიჟს.

## იაპონური კინემატოგრაფის კვირეული

ამომავალი მზის ქვეყანაში გავითარებულმა ტრავიკულმა მოვლენებმა თავისებური გამოხმაურება ჰპოვა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. მათი გადაწყვეტილებით, 21-26 მარტი, იაპონური კინემატოგრაფის კვირეულად გამოცხადდა.

მოდერნ კვირის განმავლობაში იაპონური ფილმი იქნება ნაჩვენები თეატრალურის კინოკლუბში.

ჩვენებების დასაწყისი 18:00 სთ.

დასწრება თავისუფალია



თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არაპროფიტის 40 დასწრება უფასოა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება

ქ. თბილისი

10.03.2011 წელი

## სიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ

§1  
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და სიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების (10 მარტი, 2011 წელი) საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 1-ს საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნეს გიორგი მარგველაშვილი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს საჯაროდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

§2  
ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12ქმ №6.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ნოდარ გუზარაბიძე

## გ ა ნ ხ ს ა ლ ე ბ ა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ამა წლის 17 მარტიდან 17 აპრილის ჩათვლით;
2. დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ამა წლის 18 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.
3. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი; ბ) სრული ან ასოცირებული პროფესორი; გ) აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება; დ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა; ე) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება; ვ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა; ზ) აკრედიტაციის პროცესის ცოდნა.
  4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2011 წლის 18 აპრილიდან 10 საათიდან.
  5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 30 აპრილის 18 საათი.



6. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 10 მაისი და აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში აკადემიური საბჭოს სამდივნოში (რუსთაველის გამზირი 19, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ტელ.: 99 94 11)

8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

- ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; გ) ავტობიოგრაფია; დ) 2 ცალი ფოტოსურათი; ე) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორის დამადასტურებელი საბუთი.

საფუძველი აკადემიური საბჭოს ოქმი №8 (16.03.2011წ.) და აკადემიური საბჭოს დადგენილება (16.03.2011წ.)

**ინსტრუქცია გრანტების მონიტორინგის თაობაზე**

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მითხოვნით, სახელმძღვანელოების შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების განხორციელების პროცესის მონიტორინგისათვის:**

1. გრანტის მფლობელთან (ან მფლობელთა ჯგუფთან) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვაკვლის შემდეგ, ფაკულტეტი განახორციელებს მონიტორინგს შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და რაოდენობის შესამოწმებლად.

2. ვინაიდან გრანტი ერთწლიანია, 10 თვის მანძილზე, ყოველ ორ თვეში ერთხელ, ფაკულტეტის საბჭოზე განხილული იქნება თეატრისა და კინოს მიმართულებით არსებული გრანტების პრაქტიკული განხორციელების რეალური სურათი.

3. ფაკულტეტი, საბჭოს წევრების შემადგენლობიდან, აკადემიური პერსონალის რიგებიდან, ყოველ თითოეულ გრანტზე გამოყოფს შესაბამისი პროფილის მქონე ერთ სპეციალისტს. მეორე, მოწვეული იქნება სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან.

4. შესაბამისად, ორი რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, გრანტი გამოცხადდება გაუქმებულად და აკადემიურ საბჭოს მიეცემა წინადადება, გაუქმებულ გრანტზე კონკურსის ხელახალი ჩატარების თაობაზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ ერთი რეცენზენტის დასკვნა დადებითია, ხოლო მეორე უარყოფითი, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული იქნება მესამე რეცენზენტი, რომლის დასკვნაც საბოლოოდ გადაწყვეტს საკითხს.

6. გარედან მოწვეული სპეციალისტები იქნებიან ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლები (ხელოვნებათმცოდნეები, ფილოლოგები და ა. შ.), რომელთაც სახელმძღვანელოს შექმნის გამოცდილება აქვთ. მათი მოწვევა გამოწვეულია იმ ფაქტორით, რათა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს სუბიექტური დამოკიდებულება.

7. რეცენზენტების დროს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

8. შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოსადმი წაყენებული თანამედროვე მითხოვნებისადმი შესაბამისობას (სათანადო კითხვარები; აუცილებელი სამეცნიერო აპარატი; გამოყენებული და წასაკითხად რეკომენდებული ლიტერატურა, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე – როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებსა და ინტერნეტში გავრცელებული).

9. მომავალი სახელმძღვანელოს ავტორს (ან ავტორებს) ასევე გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ ჩვენს უნივერსიტეტში, შესაბამის დისციპლინაში წასაკითხი ლექციების სილაბუსთა მითხოვნები, რათა ნაშრომი არ იქცეს მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ შენაძნადა, არამედ რეალურად იქნეს გამოყენებული სასწავლო პროცესში.

10. მომავალი სახელმძღვანელო არ უნდა იყოს მხოლოდ ე. წ. მინი ენციკლოპედია, რომელშიც მოცემული იქნება მხოლოდ ფაქტები და თარიღები, არამედ იგი უნდა იყოს ანალიტიკურ-კლავითი ხასიათის, სადაც დღევანდელი გადასახედიდან იქნება გაანალიზებული თეატრის, კინოს, დრამატურგიის ისტორიაში, კრიტიკასა და თეორიაში მიმდინარე პროცესები.

11. ათი თვის მანძილზე, ყოველ ორ თვეში ერთხელ, ანუ წელიწადში სულ ხუთჯერ წარმოდგენილ უნდა იქნას მომავალი სახელმძღვანელოს ტექსტი – მოცულობა არანაკლებ 50 გვერდისა, შრიფტი – 12-იანი ტაქსონი, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,5.

12. ბოლო ორი თვე უნდა დაეთმოს წიგნის საბოლოო რედაქტირებასა და დასაბეჭდად მომზადებას.

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი**

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღები გამომცემლობის წინააღმდეგ მიმართული 2011 – 2012 სასწავლო წელი**

**მეორეხარისხიანი აბიტურიენტები!**

თქვენ მოდინართ თეატრისა და კინოს ერთ-ერთ ყველაზე ძველ უმაღლეს სასწავლებელში, რომლის კურსდამთავრებულებმა განსაზღვრეს ქართული სათეატრო და კინო ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები.

უნივერსიტეტში მოღვაწეობენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები, მსახიობები და მეცნიერები. უნივერსიტეტში 1200-მდე სტუდენტია სხვადასხვა სპეციალობაზე.

მისაღები გამოცდები ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აბიტურიენტები, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, უნივერსიტეტში გაივლიან შემოქმედებით კონკურსს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის უმაღლეს განათლებას. უნივერსიტეტი ამზადებს დიპლომირებულ სპეციალისტებს (2–2,5 წელი), ბაკალავრებს (4 წელი), უნივერსიტეტში გახსნილია მაგისტრატურა (2 წელი), დოქტორანტურა (3 წელი).

*ერთიანი იყოს თქვენი მოზრდაცხადება ჩვენს უნივერსიტეტში!*

*კისურებო წარმატებას მისაღებ გამოცდებზე.*

რექტორი პროფესორი **გიორგი მარგველაშვილი**

www.tafu.edu.ge

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 - 2012 სასწავლო წლის**

**მიღების წესები**

1. უნივერსიტეტში მიიღებიან სრული ზოგადი განათლების მქონე მოქალაქეები.
2. უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.
3. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი აბიტურიენტი განცხადებას წერს რექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერთიფიკატი (ასლითან ერთად), თუმცა ჩარიცხვა არ მოხდება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ან ატესტატის გარეშე, 6 ფოტოსურათი /ზომა 3 X 4/, პირადობის დამადასტურებელ და სამხედრო მოწმობას (ვაკე) აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.
4. უნივერსიტეტში განცხადებები მიიღება 2010 წლის 24 მაისიდან 15 ივნისამდე.
5. აბიტურიენტი დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე ჩასარიცხავად ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, უნივერსიტეტში გადის შემოქმედებით კონკურსს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავის, 52-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად.
6. სამსახიობო სპეციალობაზე შემოქმედებითი კონკურსი დაიწყება 14 ივნისს.
7. შემოქმედებითი კონკურსი ტარდება 3 (სამ) ეტაპად: I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური, გამოცდა.
8. შემოქმედებითი კონკურსის ჩატარების ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.
9. სამსახიობო სპეციალობაზე საუკლებულთა შესარჩევი ტურების გაკვლა. შესაბამისი კომისია წვეტს აბიტურიენტის კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვების საკითხს. გამოცხადებულობის შემთხვევაში აბიტურიენტი არ დაიშვება კონკურსის შემდგომ ტურზე.
10. არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი არ დაიშვება კონკურსის მომდევნო ეტაპზე.
11. სამსახიობო სპეციალობაზე ჩაბარების მსურველი აბიტურიენტების სასურველი ასაკია: ქალები 23 წლამდე, ვაჟები 25 წლამდე.
12. აბიტურიენტმა, რომელმაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში დაარეგისტრირა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სპეციალობა, სადაც

სწავლის გაგრძელება სურს, შემოქმედებითი კონკურსი უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა საშემსრულებლო სპეციალობაში. დადგენილი წესით უნივერსიტეტში შეფასება ხდება 100 ბალიანი სისტემით, რომელიც მრავალდება კოეფიციენტზე, 30 ქულა ნიშნავს – ჩაჭრას.

13. აბიტურიენტი ვალდებულია კონკურსზე გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

14. სარეგისტრაციო სპეციალობაზე (დრამა, კინო-ტელე ფაკულტეტზე) აბიტურიენტს ეძლევა 5 ასტრონომიული საათი წერითი გამოცდისათვის.

15. კონკურსის დროს აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა, საკონკურსო ადგილის უნებართვოდ დატოვება.

16. აბიტურიენტი, რომელიც ვერ გადალახავს ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალურ ზღვარს, ვერ ჩაირიცხება უნივერსიტეტში შემოქმედებითი კონკურსზე მიღებული ქულების მიხედვით.

17. იმ ფაკულტეტზე, რომელზეც უნივერსიტეტში არ ტარდება შემოქმედებითი კონკურსი, ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, დამატებითი გამოცდის გარეშე.

18. უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნივერსიტეტში ჩარიცხვებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-6 მუხლის 1, 1<sup>1</sup> მე-4 და 4<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად.

19. საქართველოს მოქალაქე ის აბიტურიენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური ან ოსური სკოლა, კონკურსს გადაინ საერთო წესით, სახელმწიფო ენაზე (პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე სამსახიობო სპეციალობის რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური მიზნობრივი ჯგუფებისთვის დაწესებულია შემოქმედებითი კონკურსის გავლა მშობლიურ ენაზე).

20. ნებისმიერ აბიტურიენტს უფლება აქვს ჩააბაროს საქართველოს რომელიმე თეატრის მიერ უნივერსიტეტისათვის დაკვეთილ მიზნობრივ ჯგუფში. ამასთან დაკავშირებით გამოცდების შედეგების მიხედვით, უფასო სწავლების მოპოვების შემთხვევაში, აბიტურიენტი აფორმებს წერილობით შეთანხმებას უნივერსიტეტთან, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისა და მიზნობრივ ჯგუფში ჩარიცხვის შემთხვევაში, მინიმუმ სამი წლის ვადით იმ თეატრში მუშაობის თაობაზე, რომლისთვისაც მზადდება მიზნობრივი ჯგუფი.

21. თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა ჩარიცხვისათვის საჭირო ქულა მის მიერ არჩეულ პირველ სპეციალობაზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე სპეციალობაზე და ა.შ.

22. უნივერსიტეტში მისაღები შემოქმედებითი ტურებისა და კონკურსის მიმდინარეობა გადაღებული იქნება ვიდეოფორზე. ვიდეომასალა შეინახება უნივერსიტეტის არქივში და შეიძლება გამოყენებული იქნას სააპელაციო კომისიის მიერ. აღნიშნული ვიდეომასალა წარმოადგენს უნივერსიტეტის დაცულ ინფორმაციას და აბიტურიენტებზე არ გაიცემა.

23. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია:

ა) აბიტურიენტი უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო განცხადება რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისიის სახელზე, შემოქმედებითი კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.

ბ) სააპელაციო კომისია უფლებამოსილია აბიტურიენტის განცხადების განხილვისას მოახდინოს მიმღები კომისიის მიერ აბიტურიენტის შეფასების კორექტირება.

გ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოო მიმღები კომისიის მიერ შესარჩევი კონკურსის შედეგების შეჯამებისას.

დ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვისთან დაკავშირებით ფორმდება წერილობით. სააპელაციო განაცხადის განხილვას ესწრება მხოლოდ აბიტურიენტი.

ე) აბიტურიენტის ინიციატივით შეფასებასთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადის განხილვის საფასურია 30 ლარი. თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე:

სს „ბანკი ქართუ“ ანგ. №000283408, ა/კოდი 220101081, საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028

24. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად მიმღები კომისიის წევრი, დამხმარე სტუდენტი არ დაიშვება შემოქმედებით ტურებზე, თუ:

ა) ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული უნივერსიტეტში ჩასატარებელი კონკურსის შედეგებით.

ბ) პირი, რომლის ნათესავი აბიტურიენტი მონაწილეობს კონკურსში.

24. 23-ე მუხლის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი; გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები; დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

25. დაკავშირებულს ეკრძალება კონკურსის პროცესში რაიმე ფორმით ჩარევა.

26. ჩარიცხული აბიტურიენტი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ ვადაში (მუხლი 22, პუნქტი 3, 3<sup>1</sup>) გამოცხადდეს უნივერსიტეტში და გააფორმოს ხელშეკრულება.

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2011-2012 სასწავლო წლისათვის, აბიტურიენტთა მიღება იწარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემდეგ ფაკულტეტებზე:**

სწავლების ფორმა - დასწრებული.

**კინოპერსონის ჩატარების წესები და პირობები:**

1. გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი – შემოქმედებითი კონკურსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე – შეფასებისა და გამოცდების ერთიანი ეროვნულ ცენტრში.

2. შემოქმედებითი კონკურსი ჩატარდება შემდეგ სპეციალობებზე:

- 1. **დრამის ფაკულტეტი** (ბაკალავრიატი)
ა) მსახიობი (დრამისა და კინოს)
ბ) დამდგმელი რეჟისორი (დრამის)

**ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების მიმართულებით**

- ა) ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის დირიჟორი
ბ) ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

2. **კინო-ტელე ფაკულტეტი** (ბაკალავრიატი)

- ა) მხატვრული კინოს რეჟისორი
ბ) ტელე რეჟისორი
გ) კინო-ტელე ოპერატორი

3. **აბიტურიენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

- ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერთიფიკატი (ასლთან ერთად), ხოლო ჩარიცხვისათვის – ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (დიპლომი ან ატესტატი).
ბ) 6 ფოტოსურათი – 3 X 4.
გ) აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა (ასლთან ერთად) და ვაჟებმა დამატებითი სამხედრო ბილეთის ან/და მიწერის მოწმობის ასლი.
დ) აბიტურიენტების საბუთები 27 მაისიდან 15 ივნისამდე მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 19. უნივერსიტეტის I ადმინისტრაციულ-სასწავლო კორპუსი. ტელ. 99 75 41. მიმღები კომისია.
ე) შესარჩევი ტური დაიწყება 14 ივნისს. მომსახურების საფასურია 35 ლარი.
თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე
სს „ბანკი ქართუ“ ანგ. №000283408, ა/კოდი 220101081, საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028

**დრამის ფაკულტეტი**  
**დეკანი - პროფესორი მარიანა ხარატიშვილი**

**დრამის ფაკულტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

**დრამისა და კინოს მსახიობი - 24 ადგილი.**

- 1. სამსახიობო დრამისა და კინოს: საერთო ჯგუფი: - 12 ადგილი/აქედან გოგონები – 6, ვაჟები – 6/
2. დრამისა და კინოს სამსახიობო, მიზნობრივი ჯგუფი: (ზუგდიდის შ. დედანის სახელობის სახელმწიფო თეატრი): 12 ადგილი /აქედან გოგონები-6, ვაჟები-6/.



3. პანტომიმის თეატრის მსახიობი (საერთო ჯგუფი) – 12 ადგილი აქედან გოგონები-6, ვაჟები-6.

**დრამის რეჟისორი – 5 ადგილი.** დრამის ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

**დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:**

პირველ შესარჩევ ტურზე მოწმდება აბიტურიენტის გარეგნული მონაცემები, მეტყველება, მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, პლასტიკა და აქვს თუ არა გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი, – შეუთავსებელი პროფესიულ მოთხოვნებთან. ამისათვის აბიტურიენტი ვალდებულია მოამზადოს სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ-არაკი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები (პირველი ტურისათვის პროზაული ნაწარმოების წაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს).

მეორე შესარჩევ ტურზე აბიტურიენტი კვლავ წარმოადგენს სიმღერას, საცეკვაო ნომერს, იგავ-არაკს, პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებს. ამასთან, წარმოდგენილი პროგრამა მან უკვე უნდა შეასრულოს საგამოცდო კომისიის მიერ მიცემული გარკვეული ამოცანით. ამას გარდა აბიტურიენტს შესასრულებლად ეძლევა ერთი ეტიუდი კონკრეტულ თემაზე.

გამოცდაზე გასული აბიტურიენტისათვის მოთხოვნები კიდევ უფრო რთულდება, აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ-არაკი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები. წარმოდგენილი პროგრამა უნდა შესრულდეს საკონკურსო კომისიის მიერ მიცემული სხვადასხვა ხასიათის ამოცანით. ამას გარდა აბიტურიენტს შესასრულებლად ეძლევა რამდენიმე ეტიუდი სხვადასხვა თემაზე, სადაც შემოწმდება მისი შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი, ემოციურობა და არტისტული მონაცემები (რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ეტიუდი, იმპროვიზაცია).

სამსახიობო მონაცემების შემოწმების დროს, კონკურსი ტარდება სხვა აბიტურიენტების თანდასწრებით.

პანტომიმის თეატრის მსახიობის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:

პირველ ტურზე მოწმდება აბიტურიენტის ფიზიკური მონაცემები, პლასტიკა, რითმის შეგრძნება, სმენა. აქვს თუ არა მას გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი, შეუთავსებელი პროფესიულ მოთხოვნებთან.

მეორე ტურზე აბიტურიენტი წარმოადგენს ჯერ მის მიერ მომზადებულ პლასტიკურ ეტიუდს, მუსიკალური ფონოგრამით. შემდეგ კი უნდა შეასრულოს პლასტიკური ეტიუდი საგამოცდო კომისიის მიერ შემოთავაზებულ თემაზე.

გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ეტიუდი საგამოცდო კომისიის მიერ განსაზღვრულ თემაზე, რითაც მოწმდება მისი ემოციურობა, შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი.

აბიტურიენტის სამსახიობო მონაცემების შემოწმებისას ხდება სხვა აბიტურიენტების თანდასწრებით.

**დრამის რეჟისორის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:**

აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი /სცენარი, პიესის სადავმო გეგმა, მოთხრობა, ჩანახატი, ფოტოები, ნარკვევი, 2-3 გვერდის მოცულობით/.

**გ ა მ ც დ ა ზ ე - წერა** /კომისიის მიერ შემოთავაზებული პიესის ანალიზი/

აბიტურიენტმა გამოცდისათვის გამოყოფილ 5 საათში უნდა შეძლოს დაწეროს პიესის ანალიზი. საჭიროა მას ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების და შეთხზვის უნარი. უნდა შეეძლოს მოვლენის გაანალიზება, ლოგიკური აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა.

**გ ა მ ა უ ბ რ ე ბ ა** – აბიტურიენტს ჩაუტარდება გასაუბრება მისი განათლებისა და კულტურის დონის განსაზღვრისათვის, შემოწმდება მისი ცოდნის სიღრმე კულტურასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო, ისტორია და ასე შემდეგ.

გამოცდის ორივე ნაწილში ნიშანი იწერება ცალკეადა და შემდეგ ყალიბდება საბოლოო შეფასება.

**ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების დეპარტამენტი**

- ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკა – 10 ადგილი  
გამოცდა – მოთხოვნა (ქართული ხალხური სიმღერა, საეკლესიო გალობა, სოლფეჯიო, ფორტპიანო, გასაუბრება)

- ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი – 18 ადგილი /აქედან გოგონები – 9, ვაჟები – 9;  
მოთხოვნა – 2 ტური (სმენა, რიტმი, პლასტიკა, ეტიუდი).  
გამოცდა – (ქართული ცეკვა, სადავმო ხელოვნება, გასაუბრება)

**1. ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი** ტარდება 3 (სამ) ეტაპად: I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა

**I ტური** – სმენა, რიტმი, პლასტიკა  
**II ტური** – ქართული ცეკვის ინდივიდუალური შესრულება, მუსიკალური ეტიუდი (იმპროვიზაცია)  
გამოცდა – რომელიმე ქართული ცეკვის დადგმა (აბიტურიენტების მონაწილეობით),  
გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

აბიტურიენტს მოეთხოვება რიტმის გრძობა, პლასტიკური მონაცემები, იმპროვიზაციის უნარი. მის მიერ შერჩეული ეტიუდის, ფრაგმენტის ან მონაკვეთის შესრულება, მცირე ფორმის ცეკვის დადგმა – შეთავაზებული მუსიკის საფუძველზე საცეკვაო ეტიუდის შეთხზვა. აბიტურიენტმა უნდა გამოავლინოს ცეკვის ხელოვნების ელემენტების ცოდნა და ქორეოგრაფისათვის საჭირო მონაცემები, შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი.

1. შემოთავაზებული მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით საცეკვაო კომპოზიციის, ფრაგმენტის, ეტიუდის შეთხზვა;

2. აბიტურიენტის მიერ დადგმული ცეკვის ანალიზი.

**ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:**

**ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის დირიჟორი** სპეციალობაში, შემოქმედებითი კონკურსისათვის (გამოცდისათვის) აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ა) ქართული ხალხური სიმღერა;
- ბ) საეკლესიო გალობა;
- გ) სოლფეჯიო / წერა-ზეპირი/;
- დ) ფორტპიანო;
- ე) დირიჟორობა;
- ვ) გასაუბრება სამუსიკო ხელოვნების საკითხებზე.

**ა) ქართული ხალხური სიმღერა**

- 1. „კახური ლაშქრული“
- 2. „ქართველი ხელი ხმალს იკარ“
- 3. „გაფრინდი შავო მერცხალი“
- 4. „ცელი მოუსვი ბალანსა“
- 5. „წაიყვანეს თამარ ქალი“
- 6. „საფერხლო“ /ვახტანგ მეფე/
- 7. „წინწყარო“
- 8. „ნეტავი გოგო“
- 9. „შინა ორიგო“
- 10. „ყანსავ ყიფიანე“
- 11. „ბროლის ყელსა“
- 12. „იმერული მგზავრული“
- 13. „აკა სი რექ იშო“
- 14. „ნელა“
- 15. „ბატონბო“
- 16. „მივაღ გურიაში“

**ბ) საეკლესიო გალობა**

- 1. „ჯვარსა შესსა“ ( ქართლ-კახური კილო);
- 2. „ღმერთი უფალი“ (ქართლ-კახური კილო);
- 3. „წმიდაო ღმერთო“ (ქართლ-კახური კილო);
- 4. „ღმერთი უფალი“ (იმერულ-გურული კილო);
- 5. „წმიდაო ღმერთო“ (იმერულ-გურული კილო);
- 6. „მეუფეო ზეცათაო“ (იმერულ-გურული კილო).

**გ) სოლფეჯიო (ზეპირი)**

- 1. მოცემული ბგერიდან სხვადასხვა კილოს სიმღერა;
- 2. ქრომატიული ინტერვალების აგება-გადაწყვეტა მოცემულ ტონალობაში;
- 3. ტონალობაში და ბგერიდან აკორდების აგება და გადაწყვეტა;

- 4. ტონალობაში აკორდული თანმიმდევრობის სიმღერა;
  - 5. სოლოფევირება;
  - 6. სმენითი ანალიზი.
- ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების  
დეპარტამენტის ყველა სპეციალობაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი

**კინო - ტელე ფაკულტატი**

დეკანი - პროფესორი **დავით ჯანაშიანი**

კინო-ტელე ფაკულტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- მხატვრული ფილმის რეჟისორი - 7 ადგილი
- ტელე რეჟისორი - 7 ადგილი
- კინო-ტელე ოპერატორი - 10 ადგილი
- ხმის რეჟისორი - 12 ადგილი

**მხატვრული კინოს რეჟისორისა და ტელე რეჟისორის სპეციალობაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:**

აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი /სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი - 2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით. ნახატები, ფოტოები, სტატიები/ გამოცდა - **წერა** აბიტურიენტმა საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებული რამდენიმე თემადან უნდა აირჩიოს ერთი და ამ თემის საფუძველზე უნდა შექმნას მოთხრობა ან სცენარი, სადაც წარმოჩნდება მისი შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი.

წერისათვის დრო - 5 საათი.

გასაუბრება: აბიტურიენტმა გამოცდისათვის გამოყოფილ 5 საათში უნდა შეძლოს დაწეროს პიესის ანალიზი. საჭიროა მას ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების და შეთხზვის უნარი. უნდა შეეძლოს მოვლენის გაანალიზება, ლოგიკური აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა.

**გასაუბრება** - აბიტურიენტს ჩაუტარდება გასაუბრება მისი განათლებისა და კულტურის დონის განსაზღვრისათვის, შემოწმდება მისი ცოდნის სიღრმე კულტურასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო, ისტორია და ასე შემდეგ.

გამოცდის ორივე ნაწილში ნიშანი იწერება ცალკე და შემდეგ ყალიბდება საბოლოო შეფასება.

საჭიროა აბიტურიენტს ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების, ანალიზის უნარი, შეეძლოს მოვლენის პრაქტიკული გაანალიზება, ლოგიკური აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა.

**კინო და ტელე ოპერატორის სპეციალობებზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი**

აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინოს: 18 X 24-ზე ზომით სხვადასხვა ჟანრში შესრულებული 10 ფერადი და 10 შავ-თეთრი ფირზე შესრულებული ნამუშევარი.

**გ ა მ ც დ ა :**

1. თავისუფალ თემაზე 10 ფოტოსაგან შემდგარი რეპორტაჟის გადაღება. მცირე ფორმატიანი საკუთარი აპარატით კომისიის მიერ გაცემულ ფირზე.  
ა) გადაღებული რეპორტაჟის შემოქმედებითი და ტექნიკური განხილვა ავტორის ჩანაფიქრის გამოვლენის მიზნით.

2. გასაუბრება: ფოტოგრაფიის საფუძვლები: სინათლე, ოპტიკა, ელექტრობა /ფიზიკა სკოლის პროგრამის ფარგლებში/, ფოტოგრაფია, კინო, ფერწერა, ხელოვნების სხვა დარგები, ქართველი ფოტოგრაფები, კინოოპერატორები, რეჟისორები.

გამოცდის ორივე ნაწილში ნიშანი იწერება ცალკე და შემდეგ ყალიბდება საბოლოო შეფასება.

კინო-ტელე ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია - 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

**ხალხმწიბისა და სოციალურ მენეჯერებთან ფაკულტატი**  
დეკანი - ასოცირებული პროფესორი **გიორგი ცხიტიშვილი**  
**ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

ხელოვნათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა - 75 ადგილი  
ტელე-რადიო ჟურნალისტი - 25 ადგილი

ჩარიცხვა მოხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია - 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

**ბიზნესისა და მართვის დეპარტამენტი:**

**ბიზნესისა და მართვის დეპარტამენტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობაზე:**

- მენეჯმენტი (კულტურის მენეჯმენტი, კულტურის ტურიზმი) - 100 ადგილი
- ჩარიცხვა მოხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ბიზნესისა და მართვის დეპარტამენტის სპეციალობაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია - 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 - 2012 სასწავლო წლის მისაღები კონკურსის საგნობრივი კომისიის წევრთათვის განკუთვნილი ინსტრუქცია აბიტურიენტთა შეფასების წესის შესახებ**

1. უნივერსიტეტის დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე მისაღები კონკურსზე აბიტურიენტთა ცოდნისა თუ მონაცემების შეფასება ხდება 100 /ასი/ ქულიანი სისტემით. 30 /ოცდაათი/ ქულა - 2 /ორიანის/, არადაამაგყოფილებელის ტოლფასია.

2. გამსვლელ ქულად ითვლება 30 ქულის ზევით შეფასება, 100 ქულაა მაქსიმუმი.

**საორიენტაციოდ:** 31-დან 60 ქულის ჩათვლით მიღებული შეფასება 3 /სამიანის/ ანუ დამაგყოფილებელის ტოლფასია. 61-დან 80 ქულის ჩათვლით მიღებული შეფასება კი 4 /ოთხიანის/ ანუ კარგის ტოლფასია, ხოლო 81-დან 100 ქულის ჩათვლით მიღებული შეფასება 5 /ხუთს/ ანუ ფრიადს უდრის.

3. უნივერსიტეტის იმ სპეციალობებზე, სადაც კონკურსი ორ ეტაპად ტარდება, საგნობრივი კომისიის წევრები საშუალო არითმეტიკული პრინციპით ახდენენ **საბოლოო ერთი ნიშნით აბიტურიენტის ცოდნისა თუ მონაცემების შეფასებას.**

4. კონკურსის ორივე ეტაპზე, აბიტურიენტი ცალ-ცალკე ფასდება 100 /ას/ ქულიანი სისტემით ორ დამოუკიდებელ უწყისში, ხოლო პირად საკონკურსო ბარათში ფორმდება ერთი საერთო ნიშანი.

5. პრაქტიკულია და გასაუბრების, ან წერისა და გასაუბრების ორი დამოუკიდებელი ნიშანი იკრიბება და იყოფა ორზე, რის შედეგადაც იწერება ერთი საერთო, საბოლოო ნიშანი.

6. ზუსტი ქულის მიღებისათვის, საბოლოო ქულა მეტობით, აბიტურიენტის სასარგებლოდ გამოიყვანება.

**მაგალითად:** თუ კონკურსის ერთ ეტაპზე აბიტურიენტმა 75 ქულიანი შეფასება მიიღო, ხოლო მეორე ეტაპზე 60, მისი საბოლოო ქულა, რომელიც პირად საკონკურსო ბარათში უნდა დაფიქსირდეს, შემდეგნაირად გამოიყვანება:  $75 + 60 = 135 : 2 = 67,5$ ; 2-ზე მიღებული ქულა ზუსტად არ იყოფა, ამიტომ საბოლოო ქულა აბიტურიენტის სასარგებლოდ მეტობით მიიღება  $135 : 2 = 67,5$ ; მაგრამ საერთო, საბოლოო ქულა აბიტურიენტის სასარგებლოდ მეტობით დამრგვალდება და მივიღებთ 68 ქულას. სწორედ ეს იქნება აბიტურიენტის შეფასება, რომელიც გამრავლდება სათანადო კოეფიციენტზე და მის პირად ბარათში გადავა. ორ ეტაპად ჩატარებული კონკურსის ორივე უწყისი შეინახება მიმღებ კომისიაში.

7. ყოვლად დაუშვებელია ე. წ. თანაბარქულიანთა პრეცედენტის შექმნა.

მიმღები კომისია




# გ ა ს ს ე ნ ე მ ა

ალბათ, მე ყველაზე ნაკლები უფლება მაქვს გავიხსენო მიხეილ თუმანიშვილი. იმიტომ, რომ პირადად არ ვიცნობდი. თუმცა, ხშირად ვხედავდი თეატრალურ ინსტიტუტსა და რომელიმე თეატრში, პრემიერასა თუ რიგით სპექტაკლზე. მის ხასიათზე, პიროვნულ თვისებებზე მისი მოწაფეები, კოლეგები თუ ნაცნობ-მეგობრები უკეთ ისაუბრებენ. ისინი, ვისაც ბატონ მიშასთან ურთიერთობა ჰქონია. არაერთ ჩემ კოლეგას დაუწერია მისი შემოქმედების შესახებ. სულ ახლახანს, ბატონი ნოდარ გურაბანიძის ძალზე საინტერესო წიგნი გამოვიდა, რომელიც მ. თუმანიშვილის მოღვაწეობას ანალიზებს... ამდენად, ვშიშობ გამოცხადება რაიმე ახლის, საინტერესოს გახსენება. მაგრამ, ერთი კია – ძალიან გამიხარდა, როდესაც მაკა ვასაძემ ბატონ მიშაზე რამის დაწერა შემომთავაზა.

ჩემთვის მისი მოღვაწეობა სამ უმნიშვნელოვანეს შენაკადს შეიცავს. ესენია: წმინდა რეჟისორული ხელოვნება, პედაგოგიკა და თეორიული აზროვნება. ქართული თეატრის ისტორიაში, თითქმის არ მოიძებნება ისეთი პიროვნება, შემოქმედი, რომელიც ამ სამივე მიმართულებას ერთნაირი დატვირთვით მოიცავდეს საკუთარ თავში. იგი, როგორც რეჟისორი ავტორია ისეთი სპექტაკლებისა, როგორცაა: თულიუს ფურჩის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, ბრონისლავ ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“, პაველ კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, ჯონ ფლუტჩერის „ესპანელი მღვდელი“, გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ჟან ანუის „ანტიგონე“, ჟან-ბატისტ მოლიერის „დონ ჟუანი“, თორიონ უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი“, დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“, ალექსანდრე სუხოვო-კობილინის „საქმე“... და კიდევ, სხვა მრავლის, რომელთა მსგავსის ავტორობა, არაერთ რეჟისორს სიამაყის გრძობით აღაყსებდა. არადა, თავად არაერთგზის აღუნიშნავს, რომ მთელი მოღვაწეობის მანძილზე თუ ხუთი სპექტაკლი მაინც დადგა ისეთი, რომელსაც გარკვეული მხატვრული ღირებულება გააჩნია, მაშინ იგი თავს ბედნიერად ჩათვლიდა. ეს არ გახლდათ ცრუ, სხვის დასანახად გათამაშებული თავდადებობა. ბატონმა მიშამ, ძალზე კარგად უწყობდა საკუთარი, როგორც ხელოვანის ფასი. მაგრამ, ის მისი არაერთი თანამედროვე კოლეგისაგან განსხვავებით, თავის ყოველ ნამუშევარს შედეგად არ აღიქვამდა. ჩემთვის, მ. თუმანიშვილი სწორედ ამ იშვიათი თვისების გამოცაა განსაკუთრებული. იგი იყო მუდმივად მაძიებელი ხელოვანი, რომელიც არასოდეს არაა მიღწეულით კმაყოფილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბატონი მიშას პედაგოგიური მოღვაწეობა. მან, არაერთი მსახიობი და რეჟისორი აღუზარდა ქართულ კულტურას. თამამად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას – მ. თუმანიშვილმა ამ მიმართულებით, საკუთარი აღმზრდელობითი სკოლა, მეთოდოლოგია შექმნა, ჩამოაყალიბა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში დღესაც წარმატებით გამოიყენება. ქართული უმაღლესი თეატრალური სასწავლებლისათვის, უდაოდ სიახლე, გარკვეული თამამი ნაბიჯი გახლდათ მის მიერ დანერგილი მეთოდი – ე. წ. ექსპერიმენტული ჯგუფის სახით, რომელიც მსახიობისა და რეჟისორის ერთად აღზრდას გულისხმობდა.

ცალკე საუბრის თემაა მ. თუმანიშვილი, როგორც თეორეტიკოსი. მისი ბრწყინვალე წიგნი „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, არა მარტო რეჟისორების, არამედ თეატრმცოდნეების სამაგიდო სახელმძღვანელოა. თვით, ხელოვნების ამ სფეროში ნაკლებად ჩახედული ადამიანიც კი, ვინც ზემოაღნიშნულ წიგნს გაულდასმით გაეცნობა, მასში ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს და უკეთ ჩასწვდება თეატრის ფენომენს. ასევე, ძლიერ საჭირო ნაშრომებია მისი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ და „ახლა კი, ფარდა!“ პირველ მათგანში, მ. თუმანიშვილი XX საუკუნის 50-60-70-ანი წლების რუსთაველის თეატრში საკუთარ მოღვაწეობაზე საუბრობს. წმინდა ავტობიოგრაფიულობის გარდა, მისი თვალთახედვით დანახული მოვლენები, მიმდინარე პროცესები, ფაქტობრივად, იმჟამინდელი არა მარტო რუსთაველის, არამედ მთლიანად ქართული თეატრის



ისტორიაა. ვინაიდან, წიგნის ავტორი, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარების მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება და გვთავაზობს ყოველივე ამის მისეულ შეფასება-გაანალიზებას. „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ იმითაცაა საგულისხმო, საინტერესო, რომ მასში არაერთი ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწის პორტრეტია წარმოდგენილი.

ჩემს მიერ ყოველივე ზემოთქმული ემატება ხელოვანისა და მოქალაქის მკაფიოდ, ნათლად გამოკვეთილი კრედიტო, პოზიცია, რომელიც ყოველ მის ნამუშევარში გახლდათ წარმოჩენილ-დაფიქსირებული. მ. თუმანიშვილი უტყუარად გრძობდა თუ რა პრობლემა, რა სატკივარი აწუხებდა მის თანამედროვე საზოგადოებას. ამიტომ, სპექტაკლის მისეულ რეჟისორულ გადაწყვეტაში, ნათლად იკითხებოდა სათქმელი, რომლითაც იგი მაყურებელთა დარბაზში მყოფთ მიმართავდა. თეატრალური წარმოდგენის, როგორც მხატვრული ნაწარმოების თუმანიშვილისეული კონცეპტუალური გააზრება-განსხეულება, ყოველთვის ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული, ორგანული თანაბრებობით გახლდათ აღბეჭდილი. მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკის გარდა, ბატონი მიშას სპექტაკლები მორალურ, ზნეობრივ, ეთიკურ საკითხებს ეხმარებოდა. როგორც რეჟისორს, წარმოდგენები დადგმული აქვს თბილისის რუსთაველის, მარჯანიშვილის, კინოსახიობთა (დღეს უკვე მისი სახელობის), მოსკოვის „მალაია ბრონაისა“ თეატრებში, ასევე საქართველოს ტელევიზიაში... კინალამ დამაწიფა, რა თქმა უნდა, თეატრალურ ინსტიტუტში. სწორედ აქ შევხვდი ბატონ მიშას, ჩემს ჯგუფელებთან ერთად. აღარ მასსოვს, II თუ III კურსზე ვიყავით, როცა თეატრმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს, ხელმძღვანელის, ბატონი ვასილ კიკნაძის დახმარებით, შუამდგომლობით, მან რამდენიმე ლექცია ჩავგიტარა სტანისლავსკის სისტემის თაობაზე. მასსოვს, ჩვენთან საკმაოდ თავდაჭერილი იყო (ვერ გეტყვით მომავალ მსახიობებთან ან რეჟისორებთან როგორ იქცეოდა). შეიძლება, დამწყებ კრიტიკოსებთან განზრახ ცივად, ასკეტურად ეჭირა თავი. ის კი შემორჩა ჩემს მხედველობით მეხსიერებას, რომ გარეგნული გაწონასწორებულობის, სიმშვიდის მიღმა, თითქოს შინაგანი ძვლები იმდროს იმდროს იმდროს. მისი თითები საკმაოდ მოუსვენარი, მორბავის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. რაღაც, ნერვიული სისშირით მარცვლავდა კრიალოსანს. ხანდახან, ყურებზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა სწრაფი, შემპარავი მოძრაობით. სათვალის სქელი მინები მთლიანად ვერ ფარავდნენ მის სუსხიან მზერას... სულ რამდენჯერმე (სამჯერ თუ ოთხჯერ) შეგვხვდა. ლექცია ბატონი ვასოს ძველ კაბინეტში (ახლანდელი უნივერსიტეტის II სართულზე, დღეს რომ ბატონი შალვა გაწერელის აუდიტორიაა) ტარდებოდა. თავად ოთახის პატრონი

გადიოდა და ბატონ მიშასთან მარტო გვტოვებდა. ეს არ გახლდათ მხოლოდ პროტაგონისტის მონოლოგი. ჩვენ მას კითხვებს ვუსვამდით. ის გვაპასუხობდა. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ კეთილსინდისიერად, ამომწურავად... თანდათან, თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საყოველთაოდ ყბადაღებული, ლამის მითიურად ქცეული ქმელით ანალიზის მეთოდი, თავსატეხი, ამოუხსნელი რებუსიდან ადამიანურ, გასაგებ მოვლენად იქცა.

მოგვიანებით, კიდევ ორჯერ შევხვედი ბატონ მიშას. ჯერ კინოსახიობთა თეატრში, სადაც იგი რეჟისორ ირინე ულენტის მიერ დადგმულ ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრს“, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი ასწორებდა, პრემიერისთვის ამზადებდა. ამ დროს იგი უწყინარი, მასხვილონიერი იუმორის გრძობასაც ამჟღავნებდა და ოდნავშესამჩნევ ირონიასაც. მესამედ, უფრო უშუალო ატმოსფეროში შევხვდი. მაშინ, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პროექტორთან სამეცნიერო დარგში, ბატონ თამაზ ქვარიანთან ერთად გახეთის „თეატრი და კინო“ მორიგ ნომერზე მუშაობისას, მის კაბინეტში გვიანობამდე ვრჩებოდით. ეს იყო ყველანაირად უმძიმესი 1993 წელი... რამდენჯერმე, უცბად და ჩემთვის მოულოდნელად, ბატონმა მიშამ შემოაღო კარი. ჯერ ფეხზე იდგა, ხელს არ შეგიშლითო, ისე ესაუბრებოდა ბატონ თაზოს (თამაზ ქვარიანი ახალგაზრდობაში რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლდათ და მ. თუმანიშვილის მიერ დადგმულ არაერთ წარმოდგენაში ჰქონდა როლი განსახიერებელი). ეს ის დროა, როცა ადამიანებს შიათ, სცივათ, სინათლე, სიმშვიდე ენატრებათ. ყველა დაუცველი და მიუსაფარია. ქუჩებში ისვრიან... აფხაზეთში ომი მძვინვარებს... საქართველო ორადაა გახლეჩილი... დღემდე ვერ ამისხნია, რატომ რჩებოდა მაშინ ჩვენთან ბატონი მიშა... მე საერთოდ არ მიცნობდა, ბატონი თაზოს ახლო მეგობარიც არ იყო. მცირე ხნით შემოსული, კარგა ხანს დარჩა. ჩამოვჯდა, ტყავის ხელჩანთა მუხლებზე დაიღო. პალტო ეცვა, ხელთათმანები. თავზე განუყრელი ბერეტი ესურა (ამ ჩაცმულობით იგი ქუჩაში ფეხით მიმავალი არაერთგზის მინახავს).

ბატონი თაზო, რაღაცნაირად ახერხებდა ისეთი თემის მოწოდებას, რომ ბატონი მიშა საუბარს იწყებდა და ჩვენ ორნი

ვუსმენდით. ნახევრადნაზნულზე, სიგარეტის კვამლით გაბუღულ ოთახში, მაგიდაზე, გარკვეული ხნით უყურადღებოდ გვრჩებოდა ინსტიტუტის გახეთის მორიგი ნომრის მაკეტი... ძირითადად, ბატონი მიშა საუბრობდა. შიგადაშიგ, თითქოს მინავლულ, მიმქრალ ნაკვერჩხალს ნაფოტი შეუკეთაო, ბატონი თაზო ჩაერეოდა... კვლავ ღვივებოდა ალი... საუბარი, რა თქმა უნდა, თეატრს, უფრო კონკრეტულად, XX საუკუნის 50-60-ანი წლების რუსთაველის თეატრს ეხებოდა. ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდა ბატონი მიშას მიერ დადგმული სპექტაკლები: „ადამიანებო, იყავით ფიზიკა!“, „ტარიელ გოლუა“, „ესპანელი მღვდელი“, „მეფე ლირი“, „ზაფხულის ლამის სიზმარი“... ბატონი თაზო, შიგადაშიგ რეპლიკის სახით ჩაურთავდა, აი, ახალგაზრდა თეატრმცოდნე (ჩემზე უითიბედა) ეს ყველაფერი ხომ უნდა იცოდესო... თან, თქვენზე უკეთ აბა ვინ მოუყვებაო... ბატონი მიშაც ყვებოდა... უცნაურია, მაგრამ ახლა რომ ვისხენებ, უფრო მეტად თავის ე. წ. „ჩავარდნილ“, წარუმატებელ წარმოდგენებზე საუბრობდა... ბატონი თაზო, წარმატებულებს შეახსენებდა, მაგრამ მას საუბარი კვლავ იმ სპექტაკლებზე გადაჰქონდა... იხსენებდა თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა რატომ, რა მიზეზით ვერ განახორციელა იგი. ეს საოცარი რამ გახლდათ. საკუთარი თავის, შემოქმედების მიმართ მსგავსი თვითკრიტიკული, დაუნდობელი, ირონიულიც კი, მე ჯერ სრულიად დამწყები, ახალბედა რეჟისორიც არ შემხვედრია... დღემდე ვერ ვხვდები, რა გახლდათ ამის მიზეზი... უკვე განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების საღი გონებით, ფიზიკული თვალთ, უკომპრომისოდ, ობიექტურად შეფასების მცდელობა თუ კიდევ სხვა რამ... თვალგაფართოვებული ვუსმენდი... ერთი-ორჯერ კითხვის დასმაც გაბედე... არ იუცხოვა, მიპასუხა... მას შემდეგ 17 წელი გავიდა... რა თქმა უნდა, ყველა დეტალი თუ ნიუანსი აღარ მახსოვს... ერთ რამეს ვნანობ – რატომ არ დავატანე ჩემს თავს ძალა და სიცივისაგან გათოშილი თითებით (სხვა რაიმე ჩამწერ ხელსაწყოზე, იმხანად საუბარიც ზედმეტი იყო) არ ჩავიწერე ყოველივე ეს...

ზია ცხიტიშვილი

თენგიზ არჩვაძის ვახსევდავის გახსნა



ამა წლის 25 იანვარს, მარჯანიშვილის დიდ სცენაზე, გაიმართა, დიდი ქართველი არტისტის, კინოსა და თეატრის დამსახურებული მოღვაწის, თენგიზ არჩვაძის საღამო, რომელსაც მისი ვარსკვლავის საზეიმო გახსნა მოჰყვა. საღამოზე ქართველმა ხალხმა, უდიდესი სიამოვნებით, კიდევ ერთხელ გაიხსენა ბატონი თენგიზის ღირსშესანიშნავი შემოქმედებითი გზა, მისი არაჩვეულებრივი კინოროლები.

საღამოზე წარმოდგენილი იყო სპექტაკლიდან ნაწყვეტი. „მეზავრის წერილები“, სადაც თენგიზ არჩვაძეს პარტნიორობას დავით დვალისიშვილი და გივი ბერიკაშვილი უწყევდნენ. შემდგომ, ქართველმა ხელოვნების წარმომადგენლებმა მას საღამო ლექსებით, სიმღერითა თუ ქართული ცეკვით მიულოცეს. ჩვენების დასასრულს, მარჯანიშვილის თეატრის წინ თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავის გახსნა შედგა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დიდი სახალხო არტისტის დამსახურებები, რომელთა შორის არის ქართველი ერის დიდი სიყვარული. მას კინოსტორიაში უამრავი დასამსხოვრებელი როლი აქვს შესრულებული, მათ შორის არის ფილმები: „კეთილი ადამიანები“, „მე ვხედავ მზეს“, „ანარეკლი“, „ვეღრება“, „ხევისბერი გორა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, „ხევსურული ბალადა“, „26 კომისარი“ და სხვა მრავალი.

მიღებულ დამსახურებებთან ერთად (საქართველოს დამსახურებული არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემია, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია) აღნიშნულ საღამოზე თენგიზ არჩვაძეს „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებაც მიენიჭა.

ქართველი ერი ულოცავს ბატონ თენგიზს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და კიდევ მრავალ ლამაზ საღამოს უსურვებს.



# მთვარის ქალი...

ციდან ჩამოვარდნა...

„არავინ ქვეყნად არავის ტოვებს, თვით სიმარტოვეც არ არის მარტო...“

მთვარის ქალი ცაზე მიცურავს, ხელში დიდი ბრჭყვიალა ვარსკვლავით... ცაში დეკემბერია!... ქალი ვარსკვლავს ეხუტება. მიცურავს მთვარე ლურჯი მცენარეების ხეივანში... მთვარის ქალი ხელებს შლის, მთვარიდან ხტება და მიფრინავს დეკემბრის ფიფქებს შორის... პერანგი უფრიალებს, ვარსკვლავი უქრება და უცივდება... მთვარის ქალი თვალებს ხუჭავს... ლურჯი ვარდისფრით და წითლით იცვლება... მერე ნაცრისფერ ხალიჩას ხედავს... „აღბათ ვარსკვლავს დავეჯახე...“ თვალები გაახილა. „მთვარის ქალი!...“ – თქვა გაბრაზებულმა და აბაზანაში გაიქცა ლოგინიდან ჩამოვარდნის შემდეგ, დაკაწრული ხელიდან, სისხლის ჩამოსაბანად...

ლექცია ჰქონდა... ყინულივით ცივ ორშაბათს, 9 საათზე, ნომერ 25-ში... 40კაციანი ზუზუნა აუდიტორია ელოდა...

ლექტორი მაგრად „იღრინებოდა“... უფრო სწორად, გამობრუებული თეატრალების გამოღვიძლებას ცდილობდა.

- შეიძლება?
- უკვე დაბრძანებულხართ და...

გამომწვევად უდევს თითი „ლეპტოპის სენსორიან „მაუსზე“... შინაგანად ყველა სტუდენტი მზადაა ლექტორის თავდასხმას წინააღმდეგობა გაუწიოს. სიჩუმეა და უკანა რიგებიდან წინისკენ დიდი აგრესიის „ზგავი“ მოგორავს!... მის კომენტარებს ხმამაღლა პასუხობენ მართალი და არამართალი გოგო-ბიჭები... თავდაცვის ხერხს მნიშვნელობა არ აქვს...

- შეიძლება?
- რომელი საათია?
- შემოვალ, გთხოვთ...
- დედათქვენს რად უნდა თქვენი ასეთი დიპლომი?!...
- დედაჩემს შეურაცხყოფას ნუ აყენებთ... მგონი, გამოთქმები უნდა შეარჩიოთ ხოლმე!...

- დახურეთ კარები! არ დაიშვებით... წინასწარ გაიკითხეთ ვის ლექციაზე მიბრძანდებით... უამრავ „არას“ ვერაფერს უშველით!...

- ვუშველით!...

(თავხედური ღიმილი დასთამაშებს თინეიჯერს... ლექცია გრძელდება...)

- ხო მართლა, დავალება 45-დან მხოლოდ ორ ადამიანს აქვს?!..

(აუდიტორია გაიყინა... სალანძღავი მონოლოგი გრძელდება...)

- შეიძლება?

- არა!...

- კარგით...

ღიმილით შემოაბიჯა აუდიტორიაში. მოსწონს როცა 39 გაოგნებული „გოიმი“ მიაშტერდება „მის ავანგარდულობას...“ გადაკოცნა ყველა, არდადეგების გამო უნახავი, მონატრებული კურსელი და გამოელაპარაკა... ლექტორის გაოგნებული მზერა გულში ემუქრება ყველა ჩვენგანს, გასაკუთრებით „ავანგარდს“... გრძელდება მუქარა, ვერბალური საშუალებითაც... ხდება 12 საათი, დასრულდა უხერხულობის სამი მტანჯველი საათი... დავალებას 40-დან ისევ ორი ინიშნავს...

ასე გრძელდება ნახევარი სემესტრის განმავლობაში!... სტუდენტები ლექტორის „შეუვალობას“ სხვადასხვაგვარად აპროტესტებენ...

გმირები გარბიან დეკანატში, უინტერესო საგნის საათების „ჩამოხრჩობის“ მოთხოვნით... ზოგი, პროტესტის ნიშნად, სემესტრის განმავლობაში, ივიწყებს საგნის არსებობას... შედარებით გაუბედავები ლექტორის ხასიათების „დინებას“ მიენდობიან და მინც ელოდებიან გამოცდაზე მის საბოლოო „ვერდიქტს...“

სამოცდოდ ყველაფერი ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად და იტალიურადაა, ქართულად რაც არის, ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება... ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნის მასალას გაფრთხილება სჭირდება!...

ოხრავს კურსის „უდიდესი უმრავლესობა!...“

„მთვარის ქალი“ ისევ ესიზმრება იმ 40-დან ერთ-ერთს... ორშაბათ დილას ისევ დგება, დაბორილობს დეკემბრის გაყინულ გაჩერებაზე... სხვა დაგვიანებულებით ითხოვს დაგვიანებულ ნებართვას, ჯდება მერხზე და უკლებლივ ყველა „გაკიცხვის ცერემონიალს“ ესწრება 12 საათამდე... ზოგჯერ, იმ დავალებიან ორსაც შეენაცვლება და პირველი შთაბეჭდილების მეორეჯერ მოხდენის შანსს ხელიდან არ უშვებს... ბოლო ორი ლექცია თანაუდიტორიელებით შფოთავს!...


„მთვარის ქალი“ ციდან ჩამოვარდა, მაგრამ ახლა ნაცრისფერი ხალიჩის ნაცვლად, ხის კარებთან ატუზულა...

უიმედო...

კულტურის მენეჯმენტის სპეციალისტთან შესახვედრად...

„არავინ ქვეყნად არავის ტოვებს, თვით სიმარტოვეც არ არის მარტო...“ – მექანიკურად იმეორებს და 51 ქულაზეც თანახმაა...

## თინათინ გაბელაია ტელემცოდნეობის მე-3 კურსი





# წარსული, აწმყო, მომავალი... ?

საშუალება მომეცა ვსტუმრებოდი გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრს და გავცნობოდი ამ დიდი ტრადიციების მატარებელი თეატრის დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალ გეგმებს.



თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, – სოსო ნემსაძეს, დავემგზავრე. გზაში არაერთი პრობლემის შესახებ მიახლო, – თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება შენობა და რა რთულ პირობებში უწევთ მსახიობებს და დანარჩენ პერსონალს მუშაობა. სულმოუთმენლად ველოდი, ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ მეხილა და თავად შემეფასებინა რეალური სურათი. ცოტა ხანში ქალაქის შუაგულში თეატრის შენობაც გამოჩნდა. არქიტექტურული თვალსაზრისით და ვიზუალური მხარით ძალიან მოვიხიბლეთ: წინ აღმართული გიორგი ერისთავის ბიუსტი ამყად შესცქერის გამვლელებს და ყოველ საღამოს სპექტაკლზე მისულ მაყურებელს ეგებება. შენობაც დამათვალისწინებს და რეალობა ბევრად უფრო შემადრწუნებელი აღმოჩნდა, ვიდრე ბატონ სოსოს მონათხრობის დროს შეგეგმნა.

თეატრი, რომელიც დაახლოებით 72 წლის წინ აშენდა, დღესდღეობით ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. დარბაზი, რომელიც 500 ადამიანზე იყო გათვლილი, განადგურებულია: ფიცრის ნატეხების, ძველი ყუთებისა და სხვა გამოუსადეგარი ნივთების საწყობად ქცეულა; ხოლო სცენა, რომელზეც წლების განმავლობაში იდგებოდა ქართული თუ უცხოური ნაწარმოებები, დღეს გაცემტვერებულია. სიბნელეს, სიცივესა და სიჩუმეს მოუცავს ერთ დროს სიცოცხლით აღსავსე „ფიცარნავი“.

იყო დრო, როდესაც გორში თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა. სპექტაკლების სანახავად მაყურებელი სხვადასხვა რეგიონიდან ჩადიოდა. სწორედ გორელი გახლდათ 1850 წელს ქართული თეატრის აღმდგენელი გიორგი ერისთავი. თბილისში სცენის მოყვარეთა სამი წარმოდგენის გამართვის შემდეგ გიორგი ერისთავი შეუდგა მუდმივი პროფესიული თეატრის მოწყობას. მის კომედიებში („გაყრა“ და „დავა“) მონაწილე სცენისმოყვარე თავადაზნაურები სერიოზულად არ უყურებდნენ მსახიობობას, როგორც პროფესიას. გ. ერისთავმა ახალი დასი ჩამოაყალიბა, რომელიც გორელი ახალგაზრდა ხელმოკლე აზნაურებისა და მოქალაქეებისაგან შედგებოდა. დროთა განმავლობაში მათ ემატებოდა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა შორის გამოსარჩევია დრამატურგი ზურაბ ანტონოვი. 1850 წლის ზაფხულში

გიორგი ერისთავი ახალ დასს ამეცადინებდა სოფელ ხიდისთავში, თავის მამულში, რომელიც ცოლისგან ჰქონდა ნამზითვი. ის გამოუცდელ ახალგაზრდებთან ერთად რთულ სტუდიურ მუშაობას ეწეოდა. თეატრზე გულგატეხილმა ერისთავმა 1854 წელს მასზე მეურვეობა ზ. ანტონოვს გადააბარა.

პირველი საჯარო წარმოდგენა გორში 1865 წლის 26 ივლისს გაიმართა. სცენისმოყვარეთა წრემ წარადგინა გიორგი ერისთავის „ძუნწი“. სწორედ ეს თარიღი ითვლება, გორის თეატრის დასაბამად. დროთა განმავლობაში იდგებოდა წარმოდგენები სხვადასხვა შენობაში, კერძო ბინებსა, თუ საგაზაფხულო როტონდაში. ასევე იცვლებოდნენ სცენისმოყვარულთა ხელმძღვანელები და მსახიობები, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელოვანი მოღვაწე ნატო გაბუნია. მან განათლება გორში მიიღო და მისი სასცენო ნიჭი მცირე ასაკშივე შეინიშნეს. ამ დიდმა მსახიობმა არაერთი კომედიური და სახასიათო სახე შექმნა. დავით ერისთავმა 1879 წელს ნ. გაბუნია მიიწვია მსახიობად თბილისის პროფესიულ დასში, მაგრამ ის არ ივიწყებდა თავის მშობლიურ ქალაქ გორს და ხშირად გამოდიოდა აქ სცენაზე.

დრო და დრო გორის მოსახლეობა იზრდებოდა და საჭირო გახდა ახალი თეატრის აგება და მუდმივი დასის ჩამოყალიბება. თეატრის ახალი შენობა, რომელიც დღესდღეობითაც შემოგვრჩენია, 1939 წლის 21 დეკემბერს გაიხსნა. მისი პროექტი ეკუთვნოდა შალვა თავაძეს. მხოლოდ 1947 წლის 15 ნოემბერს გორის დრამატულ თეატრს მიეკუთვნა ქართული თეატრის აღმდგენლისა და რეჟისორის – გიორგი ერისთავის სახელი.

ბევრი საუბაპო სპექტაკლი დაიდგა და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოუზარდა ქართულ თეატრს გიორგი ერისთავის დრამატულმა სცენამ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ლილი იოსელიანის, შესანიშნავი რეჟისორისა და პედაგოგის, გორის თეატრში მოღვაწეობის პერიოდი. ის გახლავთ პირველი პროფესიონალი ქართველი რეჟისორი ქალი, რომელმაც დაამტკიცა, რომ არამართო კაცებს ძალუბთ იყვნენ რეჟისურაში ძლიერები. მან წლების განმავლობაში იმუშავა გიორგი ერისთავის დრამატულ თეატრში და დადგა მნიშვნელოვანი სპექტაკლები. მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, შეძლო ქალაქში შეექმნა თეატრალური ატმოსფერო და თავი შეეყვარებინა ხალხისთვის. მისი სპექტაკლები საარსებო წყაროდ იქცა მაყურებლისთვის. თეატრმცოდნე ვასილ კიქნაძე წერს: „როცა ლილი იოსელიანის „გორის პერიოდს“ ვისხენებ, სიხარულის გრძნობა მეუფლება, რადგან იყო დრო, როცა გორში ჩქეფდა თეატრალური ცხოვრება, თბილისიდან მიდიოდნენ მაყურებლები ლილი იოსელიანის „ბებერი მეზურნეებისა“ თუ „მდაბინის“, „ზვავისა“, თუ „ირინეს ბედნიერების“ სანახავად. მივდიოდით, რათა გვენახა ახალი თეატრალური აღმოჩენა... იშვიათად მინახავს ლილი იოსელიანის „ბებერ მეზურნეებზე“ უფრო თბილი და პოეტური სპექტაკლი. მასში იყო ადამიანური სევდა, განწყობილებათა მთლიანი პოეზია, პირველქმნილი უბრალოება და სიმშვიდე...“

დღეს კი დგახარ დარბაზში, რომელსაც ორიოდე ნათურა ძლივს გინათებს, შეკვეთებ და ერთდროულად სიბრაზისა



და სირცხვილის გრძობა გეუფლება. გონებაში წარმოსახვით აცოცხლებ სცენაზე მსახიობებს, დარბაზში – მაყურებელს. ფუნჯს იღებ და ჩაბნელებულ სივრცეს ფერადი საღებავებით ხატავ. სირცხვილია უბრალოდ, მსგავსი თეატრი ასეთ სავალალო მდგომარეობაში იყოს და სხვადასხვა ქალაქში ახალი შადრევნები იხსნებოდეს.

სალამოს სპექტაკლსაც დავესწარი, რომელიც მცირე სცენაზე გაიმართა. მარსელ პანიოლის „ტოპაზის სისტემა“ სოსო ნემსაძემ ორ მოქმედებად წარმოგვიდგინა, მხატვრული გაფორმება რეჟისორმა თამარ ჭავჭავანიძესა და ბექა საღალაშვილს ანდო.

სპექტაკლის დაწყებამდე დამინტერესა მსახიობების ჩაცმულობამ, რადგან აუტანელი სიცივის გამო მინდოდა მენახა მათი კოსტიუმები. შენობაში გათბობის არსებობის მიუხედავად ვერ ხერხდება მცირე სცენის გათბობა. ოციოდე მაყურებელი ქუთუთუკებით სხედან და ცდილობენ ტყავის გაყინული სავარძლები გაათბონ. ალბათ, სწორედ ასეთი ერთგული და თეატრზე შეყვარებული ადამიანები აძლევენ შემართებას მსახიობებსა და რეჟისორებს ღირსეული წარმოდგენები შესთავაზონ მათ. „მსახიობს უნდა შიოდეს, უნდა სციოდეს და მშველელი არ მოდიოდეს...“ (მ. თუმანიშვილი) გასაგებია, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილი, სავარაუდოდ, ასეთ სიცივეს არ გულისხმობდა. უბრალოდ, შეუძლებელია ასეთ რთულ პირობებში მუშაობა; მაგრამ სცენის „კამიკაძეებმა“ ილია ქორქაშვილმა, ლევან იზბეგაშვილმა (საქ. დამსახურებული არტისტი), თაკო აბაშიძემ, ზაზა ცარუაშვილმა, ანა ჩოგოვაძემ, კახა ბერიძემ, ლიკა კველიშვილმა, ზაზა თედელურმა, მაია ტურაშვილმა, თამარ თეთრაძემ, ლევან როსტომულმა და ბოჟენა ტიტოვამ, პირობების მიუხედავად შეძლეს მხატვრული სახეების შექმნა.

ტოპაზის როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ილია ქორქაშვილი, სპექტაკლის დაწყებისთანავე, ენერგიულად ჩნდება სცენაზე და გამართული მეტყველების, პლასტიკისა და სამსახიობო ოსტატობის ურთიერთშერწყმით ახერხებს მაყურებლის სპექტაკლში ჩათრევას. ის ასახიერებს ახალგაზრდა მარტონელა მამაკაცს, რომელიც მიუშის (ლევან ოზბეგაშვილი) პანსიონში მუშაობს მასწავლებლად. მისი ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებითა და თავგადასავლებით. სპექტაკლის მსვლელობისას ტოპაზის ხასიათი თანდათან იცვლება და შესაბამისად, მსახიობს უწევს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. ის ამ ყველაფერს თავისი ნიჭის წყალობით საკმაოდ ოსტატურად ახერხებს.

ასევე უნდა აღინიშნოს სიუზის, როლის შემსრულებლის ანა ჩოგოვაძის ნამუშევარი. ძალიან მოხიბლული დავრჩი მისი სცენური შარმით. როდესაც მსახიობი ტექსტსაც არ წარმოთქვამს, ის, თავისი სცენურობით, საკმაოდ კარგად ახერხებს მაყურებლის ყურადღების მიპყრობას. პირველ აქტში გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მსახიობი მაინც ღირსეულ პარტნიორობას უწევს კასტელ-ბენაკს (ზაზა ცარულაშვილი). მათი დიალოგიდან, დროთა განმავლობაში ნათელი ხდება პერსონაჟების ხასიათი.

უცნობი ქალი (თამარ თეთრაძე), რომელიც ხან ნაგვის ურნიდან გვეკლინება მეეზოვეს ტანსაცმლით და ხანაც თეთრ სამოსში ნახევრად შიშველი, შეიძლება ითქვას, გმირია,

რადგან მსგავსს კოსტიუმებში გამოსვლა სულისშემძვრელ სიცივეში წარმოუდგენელია.

სპექტაკლის მსვლელობას ხელს უშლიდა ტექნიკური პრობლემები და მაყურებელს ყურადღება ეფანტებოდა. დეკორაციის სამი კარი, რომელზეც სცენის ცენტრი იყო განთავსებული, მსახიობების შემოსვლა-გასვლის შემდეგ ხშირად იღებოდა, რაც გარკვეულ ხარვეზებს ქმნიდა. ყველაზე დიდ პრობლემას, ალბათ, ნორმალური განათების სისტემის უქონლობა წარმოშობდა. „განათება სცენაზე – სასწაულთა სასწაულია, თუკი მას არა როგორც ჭაღ-გამნათებელს შეხედავ, არამედ, როგორც, მზეს, რომელიც სცენას სიცოცხლეს, სიკვდილს, სიცივეს, სითბოს, მარტობას, სიხარულს, სიყვარულს, ბოროტებაზე გამარჯვების ზეიმს ანიჭებს. რა აღარ ძალუძს შუქს, თუ ისევეა მოძებნილი, როგორც ხმა, ფერი, მხატვრული სახე. სცენა არ შეიძლება გაანათო როგორც სადგური ან მალაზია“ (მ. თუმანიშვილი). შეუძლებელია, დაახლოებით ოცდაერთი მოძველებული „პროექტორით“ „სასწაულის“ და დადებითი ეფექტის მოხდენა.

სოსო ნემსაძე შეეცადა მისი სათქმელი მიეტანა მაყურებელამდე. „ტოპაზის სიტემაში“ წამოჭრილი პრობლემები დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური თემებს ეხებიან. სპექტაკლში მაყურებელი ბევრ ახლობელსა თუ მეგობარს ამოიცნობს, სრულიად შესაძლებელია თავისი ანარეკლიც დაინახოს. ფული, სინდისი და პატიოსნება რეჟისორმა ჯაჭვურად გადააბა ერთმანეთზე და სპექტაკლზე დამსწრე საზოგადოება დააყენა კითხვის წინაშე: დარჩა კი დღეს ჩვენში პატიოსანი ადამიანი?! პასუხის გაცემა კი თავად მაყურებელს ანდო.

სპექტაკლიც დამთავრდა, შუქი აინთო და მსახიობებს აპლოდისმენტები მიაგება პუბლიკამ. ისინი ნამდვილად არიან შექების ღირსნი. მაყურებელმა დატოვა თეატრის შენობა, ხოლო მსახიობებმა გაყინულ გასახდელს მიაშურეს წარმატებას ვუსურვებ შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს და აღადგინოს ძველი ტრადიციები ისე, როგორც თეატრს შეშვენის. ასევე ნულიდან დაწყებული საქმის უახლოეს მომავალში ბოლომდე მიყვანას. უკეთესი მომავლის იმედით.....

„ყველანაირი კრიზისის და განსაკუთრებით ხელოვნების კრიზისის თავი და თავი ზნეობის დეფიციტია, სულიერი კრიზისია. როდესაც ქვეყანა, ერი, მოქალაქეები ყოველდღიური ყოფის მოწესრიგებისათვის იბრძვიან, კრიზისი დგება. გადარჩენის გზები კი ამხელს ცალკეული ადამიანებისა და ერების ზნეობის ხარისხს. შექსაირი ამბობს: „არ არსებობს ისეთი უბადრუკად საშინელი დრო და ცხოვრება, როგორცაა დრო, როდესაც ადამიანს თავისი კაცობის გამოჩენა არ შეუძლია“. ასეთი კრიზისის დროს თითო-ოროლა ადამიანი არ ღალატობს ზნეობრივ მრწამსს და მაგალითს იძლევა საზოგადოებისათვის თავისი ცხოვრების წესით, თუმცა ამ უკანასკნელსაც უნდა შეეძლოს მაგალითის მიღება და დანახვა... ასეთი ადამიანების მოძიება კი დღეს გართულდა, რადგან – სიკეთე მარტო დაწანწალებს დედამიწაზე...“ (ლილი იოსელიანი)

**ლევან ბახოპია**  
თეატრმცოდნეობის III კურსი  
პედაგოგი: პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი

პოპულარული ტრადიციული ანიმაციის პარალელურად, ყოველთვის არსებობდა საავტორო ანიმაცია - უზარმაზარი კულტურული სამყარო, რომელშიც მოდერნიზაციას ასეულობით ნიჭიერი შემოქმედი. ყოველწლიურად ტარდება ფესტივალები, რომლებშიც ასეულობით ფილმი მონაწილეობს. საავტორო, (ძირითადად არაკომერციული) ანიმაციას ჰყავს თავისი ვარსკვლავები, ლიდერები, ნოვატორები. მათი წარმატება აღინიშნება პრიზებით და ჯილდოებით, ეს პიროვნებები და მათი ფილმები ფართო საზოგადოებისათვის ძირითადად უცნობია, ამიტომ ვთავაზობთ „სხვა ანიმაციის“ კლასიკოსებისა და ლიდერების შემოქმედების მიმოხილვას.

## ნ ე მ ს ე ბ ი ს ე ყ რ ა ნ ი – Pin - screen Animation

**ალექსანდრ ალექსევი** – ანიმაციური ფილმების ფრანგი რეჟისორი, მხატვარი, ანიმატორი. იგი მიჩნეულია ანიმაციური კინოს კლასიკოსად.

ალექსევი რუსეთში დაიბადა 1901 წელს. ხატვა ოთხი წლის ასაკში დაიწყო. როდესაც ალექსანდრე 10 წლის იყო, მისმა უფროსმა ძმამ პრაქსინოკოპი გააკეთა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა გამოსახულების მოძრაობის ილუზიის შექმნა. ამის შემდეგ მოზარდმა პატარა რეჟისორის ფურცლებზე ქარის წისკვილი დახატა, რეჟისორის სწრაფი გადაფურცვლისას წისკვილის ფრთები ტრიალებდა. მეორე რეჟისორი იმავე პრინციპით თვითმფრინავის ამოძრავება შეძლო: – „ეს იყო ჩემი პირველი ანიმაციური ფილმი...“, – მოგვიანებით იხსენებდა ალექსევი. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციით გამოწვეულ სამოქალაქო ომს გამოქცეული ალექსევი საფრანგეთში აღმოჩნდა. ცხოვრობდა პარიზში, ხატვას სწავლობდა ასევე ცნობილ რუს ემიგრანტ მხატვართან – სერგეი სუდეიკინთან. მიმების თეატრ „დამურასთვის“ ხატავდა კოსტუმებისა და დეკორაციების ესკიზებს. შემდეგ შეისწავლა გრაფიკა და გრაფიურების შექმნა დაიწყო.

თანამშრომლობდა წიგნების პრესტიჟულ გამომცემლობებთან, მათი შეკვეთით წიგნებისათვის ილუსტრაციებს ქმნიდა, რომლებიც აგრეთვე დიდი მოწონებით სარგებლობდა და მხატვრის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. როდესაც ალექსევი ოცდაათი წლის გახდა, მან ჩათვალა, რომ გრაფიურების შექმნაში ოსტატობის პიკს მიაღწია და თუ ამ საქმეში დიდ ხანს დარჩებოდა, შეიძლებოდა დროთა განმავლობაში, ამ დარგში, ჩვეულებრივი – რიგითი ხელოსანი გამხდარიყო.

იმ პერიოდში კინემატოგრაფი ადმაგლობის გზაზე იდგა და ალექსევიც მოინდომა ანიმაციის საშუალებით გრაფიურის ამოძრავება, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ჩვეულებრივი ნახატი ფილმი უფრო კომიკურ ატმოსფეროს შეეფერებოდა ვიდრე პოეტურს, – რომელიც მისი გრაფიურებისათვის იყო დამახასიათებელი. ამავე დროს არ მოსწონდა იმ პერიოდში უკვე დანერგილი ჯგუფური მუშაობის პრინციპი – „რეჟისორი, ანიმატორი, ფაზიორი, ამომხატველი და სხვა“, ვინაიდან თვლიდა, რომ ამ მეთოდით მუშაობისას იკარგებოდა ის ინტიმურობა და კონტაქტი, რომელიც შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის არსებობს.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ალექსევიც გადაწყვიტა საკუთარი, იქამდე არნახული ტექნიკა შეექმნა, რომელიც მის პრეტენზიებს დააკმაყოფილებდა. ხანგრძლივი ფიქრისა და მუშაობის შედეგად ალექსევი უნიკალური ტექნიკა გამოიგონა – ნემსებისგან შემდგარი, ანუ, უბრალოდ ნემსების ეკრანი, რომლის საშუალებით შეიძლებოდა ურთულესი გრაფიკული ნახატის „გრაფიურის“ გამოსახულების მოღწევა. ამგვარად, ალექსევი ისეთივე ნიჭიერი გამოგონებელი აღმოჩნდა, როგორც ნიჭიერი მხატვარიც იყო.

ალექსევი: „ეს იყო ჩემი საუკეთესო იდეა, არა ისეთი ტყეში სოკოსავით რომ პოულობენ. ნემსების ეკრანი, – ეს ხანგრძლივი თეორიული კვლევის შედეგია და არა ბედის საჩუქარი“. პირველი ეკრანი ალექსევიც დაამზარებთან ერთად რამოდენიმე დღეში ააწყო. ვინაიდან ეკრანს ათასობით ნემსი სჭირდებოდა, ალექსევის პირველი ცოლი ალექსანდრა გრანევსკაია და რვა წლის ქალიშვილი სვეტლანა ახლომდებარე სუპერმარკეტს ხშირად სტუმრობდნენ. მათი გამოჩენისას გამყიდველები დახლებს ტოვებდნენ და მობრუნდნენ „შემოილი რუსი ქალის“ სანახავად, რომელიც წარმოუდგენელი რაოდენობის ნემსებს ყიდულობდა.

მოგვიანებით ალექსევიც ასისტენტად მოიწვია ბოსტონელი კლერ პარკერი, რომელიც შემდგომში მისი მუუღვე და ფილმების თანარეჟისორი გახდა.

შევეცდები მარტივად ავიხსნათ, თუ რას წარმოადგენდა ნემსების ეკრანი. ეს არის ჩარჩოში ჩამონტაჟებული თეთრი დაფა (ეკრანი), რომლის წინ ვერტიკალურ მდგომარეობაში კინოკამერა დგას. დაფის უკან მხარე მუქია, რადგან მასში მოელ სივრცეზე ახლოახლო, პერპენდიკულარულად ათეულ- ათასობით ნემსია ჩასმული (ნემსები დაფის სისქეზე გრძელია). მათზე მიწოლისას ისინი მეორე თეთრ მხარეს გადაიან და მასზე ჩრდილს აჩენენ. ეს გამოსახვის ერთადერთი საშუალებაა. რაც უფრო ღრმად გამოდის ნემსი, მით უფრო გრძელია მისი ჩრდილი. ნახატის შექმნისას ხდება ნემსების მთელი ჯგუფების სხვადასხვა დონეზე გამოწევა. ნემსების დამორჩილება ხელით შეუძლებელია, ამიტომ ხმარობენ ხისტარიან რკინის გორგოლაჭებს, დაპრესილი რეზინის რგოლებს, ფაქტურის მისაცემად კოვზებს, ქლიბს, აგრეთვე ამ საქმისათვის მორგებულ სხვა ხელსაწყოებს. სხვადასხვა ზომაზე გამოწეული ნემსები ქმნიან შავ, ნაცრისფერ და თეთრ ფერს, შედეგად გამოსახულება ბარელიეფურია, ხოლო ფაქტურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – გრაფიურას მოგვაგონებს. მუშაობის პროცესში ალექსევი ეკრანის უკან მუქ მხარეს იჯდა და ნემსების მანიპულირებით ქმნიდა მოძრაობას. საწინააღმდეგო მხარეს კინოკამერასთან მჯდომი კლერ პარკერი კინოფირზე ალბეჭდავდა თეთრ ეკრანზე გამოსახულ ფაზას. მერე კი რკინის გორგოლაჭის მეშვეობით გამოწეულ ნემსებს თავის ბუდეში აბრუნებდა, რის შედეგადაც ალექსევი მოძრაობის მომდევნო ფაზის შექმნას იწყებდა. ასე დაუსრულებლად საათების, დღეების, თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ფილმზე მუშაობა, რომელსაც დიდი ენერჯია, გამძლეობა და მოთმინება სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ალექსევი და პარკერი დიდი ერთობაშიაში და სიყვარულით აგრძელებენ თავის საქმეს, ვინაიდან საწყის ეტაპზე გადაღებულმა სიუჟეტმა ისინი ნემსების ეკრანის უზარმაზარ შესაძლებლობებში დაარწმუნა.



ალექსევი: „როდესაც ამ ფილმზე ვმუშაობდით მე და კლერ პარკერს გვევონა, რომ ჩვენ ისეთ საიდუმლოს ვფლობდით, რომლის არსებობაზე პლანეტის ბინადართ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ“.

1933 წელს ალექსევის პირველი ფილმი „სიზმარი მელიტ მთაზე“ მზად იყო. ის შეიქმნა ცნობილი რუსი კომპოზიტორის მოდესტ მუსორგსკის მუსიკაზე. ამ რვაწუთიან შევთეთრ ფილმზე მუშაობა წელიწადნახევარი გაგრძელდა. ავტორი ნემსების ეკრანის საშუალებით მიღწეული შედეგით კმაყოფილი დარჩა. „სიზმარი მელიტ მთაზე“ მოკლებულია ყოველგვარ თხრობით სიუჟეტს. ეს თითქოს ეკრანზე გაცოცხლებული კომპარული სიზმრის ნაგლეჯებია: საკმაოდ არასიმპათიური გმირები, თითქმის ფანტასმაგორიულ როკვაში ევზიბრებიან ერთმანეთს, ხან ჩნდებიან, ხან ქრებიან, ხან დაფრინავენ, ხანაც ბრუნავენ. ფილმის მსვლელობისას, ფიქრობ, თითქოს ქაოსის ქარიშხალს გაჩერება არ უწერია, მაგრამ თენდება და ცხოვრება თავის კალაპოტში დგება. ფილმის „სიზმარი მელიტ მთაზე“ პრემიერა პარიზში იმავე 1933 წელს შედგა და მშვენივრად ჩაიარა, ამას პრესის კარგი გამოხმაურება მოჰყვა. სტატიები ფილმის ავტორების მშვენიერ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ალექსევის თქმით ასეთი პრესა არც ერთ რვა წუთიან ფილმს არ ქონია. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის კინოგაქირავების არც ერთმა კანტორამ არ ისურვა ფილმის კინოთეატრებში დემონსტრირება. ამის შემდეგ ალექსეევს ფინანსურად გაუჭირდა, ოჯახი სარჩენი ჰყავდა, მის სახლში ცხოვრობდა მისი პირველი ცოლი და ქალიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთში ყველას კარგი ურთიერთობა ჰქონდა. იმ პერიოდში საფრანგეთში კინორეკლამის ნამდვილი ბუმი იყო, რომლებშიც დამკვეთები მიზერულ თანხას იხდიდნენ. ალექსევი რეკლამებს შემოქმედებითად მიუღდა. ფილმების უმრავლესობა ფერადია, ტექნიკურად რეჟისორმა მოცულობითი ანიმაცია აირჩია (თოჯინები, დეკორაციები, მულაჟისგან შექმნილი ცილინდრები, სიგარეტის ღერები, რეალური კოლოფები, კომბინირებული გადაღების საშუალებით შექმნილი ბოლი, რეალური ქანდაკება და სხვა). ნემსების ეკრანს რეკლამის დასამზადებლად იშვიათად იყენებდნენ. ყველა ამ ფილმში, რომელიც ხანგრძლივი მრავალთვიანი მუშაობის შედეგად იქმნებოდა, ავტორს რაღაც პატარა სიახლე მაინც შეჰქონდა, რომელიც მანამდე არავის ჰქონდა გაკეთებული.

1940 წელს ალექსევი და პარკერი სამუშაოდ კანადაში წავიდნენ. იმ ხანად ევროპაში მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო და ქვეყნის კინოწარმოება ძირითადად საავტორული ფილმების გადაღებით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, კანადის კინემატოგრაფიის ნაციონალურმა სამმართველომ ალექსეევს შეუკვეთა პატარა ფილმი, რომელიც ნემსების ეკრანზე უნდა შექმნილიყო. ვინაიდან ალექსეევს ძველი ნემსების ეკრანის დატოვება საფრანგეთში მოუხდა, მან და პარკერმა კანადაში ახალი ეკრანი ააწყეს, რომელიც პარიზულს ზომით და მასში განთავსებული ნემსების რაოდენობით აღემატებოდა. 1943 წელს ორწუთიანი ფილმი „გავლით“ მზად იყო. ფონად მას მხიარული კანადური სიმღერა ედო. ეს რეალისტურ მანერაში შესრულებული ფილმი თითქოს ერთი ამოსუნთქვით იყო გაკეთებული. მაყურებელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ეკრანზე მიღწეული სილაღე ავტორების მრავალთვიანი ტიტანური შრომის შედეგი იყო. ფილმმა „გავლით“ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ის აჩვენეს კვებეკის კონფერენციაზე დამსწრე ჩერჩილს და რუზველტს. წლების შემდეგ 1956 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალი ამ ორწუთიანი შავ-თეთრი შედეგის ჩვენებით გაიხსნა.

1951 წელს ცოლ-ქმარი საფრანგეთში დაბრუნდა. ცოლა ხნის შემდეგ მათ სარეკლამო ფილმების გადაღება დაიწყეს.

1963 წელს ეკრანზე გამოვიდა ალექსევის და პარკერის ახალი ფილმი „ცხვირი“, რომელიც მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, ნემსების ეკრანზე იყო შექმნილი. „ცხვირი“ ალექსევის საყვარელი მწერლის, ნიკოლაი გოგოლის, ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა. მუსიკალური მხარე ვიეტნამელ მუსიკოსს ნიან მინს ეკუთვნის, რომელმაც გამოსახულების წინ მჯდომმა ეგზოტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით იმპროვიზირებული

კომპოზიციები და მუსიკალური აქცენტები შექმნა, რომლებიც ფილმს ძალიან მოუხდა. გამოსახულებაში ავტორებმა სიახლე შემოგვთავაზეს – კადრში სცენები და მოქმედებები სხვადასხვა ეფექტის გამოყენებით ენაცვლება ერთმანეთს, რომლებიც ფირზე ლაბორატორიულად კი არ არის მიღწეული, არამედ პირდაპირ ნემსების ეკრანზე შექმნილი. ეს მეთოდი რეჟისორმა მომდევნო ფილმებშიც გამოიყენა. ეს ალექსევის და პარკერის ერთადერთი ფილმია, რომლის სიუჟეტური ქარგა შედარებით თხრობით ხასიათს ატარებს, მაგრამ რეჟისორის სხვა ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მისტიკურობას, ილუზორობას და რაც მთავარია იდუმალებას, ეს ფილმიც არ არის მოკლებული.

მოგვიანებით ალექსეევმა ნემსების ეკრანზე კიდევ ორი ფილმის გადაღება მოახერხა: „ნახატები გამოფენიდან“ (1972 წელი) და „სამი თემა“ (1977 წელი). განსაკუთრებით საინტერესოა მოდესტ მუსორგსკის ამავე სახელწოდების მიხედვით შექმნილი ფილმი „ნახატები გამოფენიდან“, რომელშიც ალექსევი თავისი შორეული ბავშვობის მოგონებებს გვიზიარებს.

ალექსევი: „მოდრობის შექმნისას, მე არა მარტო ვიცოდი, თუ სად იქნებოდა პერსონაჟის ჩრდილი, არამედ ეს ყველაფერი მათემატიკურად მქონდა გათვლილი. რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა ჩემს ინტუიციას ჰქონდა, მაგრამ ამ კომპონენტებიდან რომელიმეს გამორიცხვა დაუშვებელია“.

ფილმებზე მუშაობის ინტერვალებში, ნემსების ეკრანის მეშვეობით, ალექსევი წიგნებისათვის გრაფიურებს ქმნიდა, რომელთა უმრავლესობა ამ დარგის შედეგად არის მიჩნეული. განსაკუთრებით აღსანიშნავია „დოქტორ ფივაგოს“ და „ანა კარენინასთვის“ შექმნილი წიგნის ილუსტრაციები.

ალექსევი და პარკერი სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად ატარებდნენ მასტერკლასს. ამისთვის მათ სპეციალური პატარა ეკრანი შექმნეს, რომლის საშუალებით მასტრო დაუზარებლად უზიარებდა თავის გამოცდილებას სტუდენტებს და ნემსების ეკრანის ტექნოლოგიით დაინტერესებულ კოლეგებს.

Pin-screen Animation-ს მხოლოდ ერთი ცნობილი მიმდევარი ჰყავდა, კანადელი რეჟისორი ჟაკ დრუენი. მან 1976 წელს გადაიღო ცნობილი ანიმაციური ფილმი „პეიზაჟისტი“, რომელმაც მრავალ ფესტივალზე არაერთი პრიზი მიიღო. ჩემი აზრით, დრუენის ფილმის წარმატებაში ლომის წილი ალექსეევსა და კლერ პარკერს მიუძღვის, რომლებმაც ნემსების ეკრანზე „პეიზაჟისტის“ ანიმაცია შექმნეს.

ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ალექსეევმა მხოლოდ რამდენიმე საავტორო ფილმის შექმნა მოახერხა: „ცხვირი“, „ნახატები გამოფენიდან“, „სამი თემა“, „გავლით“, რომელიც ანიმაციის კლასიკად არის აღიარებული, ხოლო მისი პირველი ფილმი „სიზმარი მელიტ მთაზე“ მსოფლიო კინოს შედეგად ითვლება და მისით აღტაცებულები იყვნენ საღვალო დღი და ორსონ უელსი.

დღეს ნემსების პრინციპით დამზადებული ეკრანი სხვადასხვა შოუს დროს გამოიყენება.



ლადო სულაქმელიძე